



ამინისტრაციასის სოციალისტური უნივერსიტეტი საგარეო რესპუბლიკის  
გუბათა და გლეხთა მთავრობის

# კაცონია და განვარგულებათა პრეზერვი

1932 წლის  
03 ლისის 5

№ 17

განყოფილი მთავრობა პირები

ა/კსფსრ სახალხო კომისართ  
თა საბჭოს საქმეთა მმართ-  
ველობის გამოცემა.

## შ ი ნ ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა  
და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- მუხ. 126. ა/კსფსრ შეალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების დებულების ახალი რედაქ-  
ციის დამტკიცებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.
127. „ა/კსფსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო  
დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ფონდების დე-  
ბულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის  
15-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.
128. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტისა.

129. საწარმოში საბჭოების დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ.
130. შრომის კანონთა კოდექსის 68 და 87 მუშაობისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.
131. კალა-მაშტაგინის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თაობაზე გამოტანილი  
სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. ოქტომ-  
ბრის 23-ის დადგენილებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კო-  
მიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილების რეალიზაციის მსვლე-  
ლობის შესახებ.
132. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულების მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.

**დადგენილება ამინისტრაციასის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**126.** ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების დებულების ახალი რედაქციის დამტკიცებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელი დადგენილებითაც დამტკიცებულია დებულება ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-ი, მუხ. 203);

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 21-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება მთკვარ-არაქსის ბასსეინის წყლის რესსურსების გამოყენების სქემის შემდგენელი სამმართველოს შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-5 №-ი, მუხ. 38);

გ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 19-ის დადგენილება „ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 157).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. მაისის 17.

ტფილისი.

დადგენილება ამინისტრაციასის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**127.** „ა/კსფსრ დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფა-  
ცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელის  
შემწყობი ფონდების დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული  
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ  
სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილების გა-  
უქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ  
სახალხო კომისართა საბჭოს ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ  
სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილება „ა/კსფსრ  
დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებუ-  
ლებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ფონდების დებულე-  
ბის დამტკიცების შესახებ“ და ოვით აღნიშნული დებულება გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. მაისის 27.

ტფილისი.

დადგენილება ამინისტრაციასის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**128.** ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

შრომის კანონმდებლობის შეცვლის შესახებ გამოცემულ სსრკ-ის სახალ-  
ხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 11-ის დადგენილებასთან დაკავშირე-  
ბით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 51 №-ი, მუხ. 334) — ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 83 მუხლი, 93<sup>1</sup> მუხლის პირველი  
ნაწილის „ა“ პუნქტი, 93<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტი და 172<sup>1</sup> მუხ-  
ლის „ლ“ პუნქტი მიღებულ იქნეს ქვემომდევნო რედაქციით და ოვით კოდექსის  
დაემატოს 83<sup>1</sup> მუხლი ქვემომდევნოვე შინაარსისა:

„მუხ. 83. მუშა და მოსამს-ხურე პასუხისმგებელი არიან ქონებრივად დამ-ქირავებლის წინაშე სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს მიყენებული ზიანისითვის ნამდგილი ზიანის ოდენობით, ხოლო არა უმეტეს მათი სა-ტარიფო განაკვეთის  $\frac{1}{5}$ -სა, უკეთუ ზიანი გამოწვეულია მუშაობაში დაუდევრო-ბით ან კანონისა, ზიანგანრიგების წესებისა, სპეციალური ინსტრუქციისა და დამქირავებლის განკარგულების დარღვევით.

ამგვარ პასუხს მუშა და მოსამსახურე აგებენ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით „მუშათა და მოსამსახურეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დამქირავებლისათვის მიყენებული ზია-ნის გამო“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 42 №-ი, მუხ. 367 და 1931 წ. 51 №-ი, მუხ. 334).

„მუხ. 83<sup>1</sup>. მუშა და მოსამსახურე პასუხისმგებელ არიან ქონებრივად დამ-ქირავებლის წინაშე მიყენებული ზიანისათვის ზიანის მთელი ოდენობის ფარგლე-ბში ისეთ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმა-სრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით „მუ-შათა და მოსამსახურეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დამქირავებლი-სათვის მიყენებული ზიანის გამო“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 42 №-ი, მუხ. 367).

93<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი:

„დათხოვნისა და აგრძელვე მომუშავის ხვედრი თანხებიდან ფულის გამოკ-ლების საკითხების თაობაზე—14 დღე“.

93<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტი:

„ყველა დამქირავებლისათვის ფულის გამოკლების საქმეზე—დღიდან მომუ-შავის განცხადებისა ფულის გამოკლების უკანონობის ან არასწორი რაოდენო-ბით გამოკლების შესახებ, ხოლო დამქირავებლის მიერ მომუშავის სარგებლო-ბაში გადაცემული ქონების მითვისებისა, დაკარგვის ან განზრახ გაფუჭებისათვის ფულის გამოკლების საქმეზე—დღიდან ზიანის გამოაშქარავებისა“.

172<sup>1</sup>-ლი მუხლის „ლ“ პუნქტი:

„ბრაკის ღირებულების გადახდევინება და დამქირავებლისათვის მიყენებუ-ლი ზიანის გამო ფულის გამოკლება, როდესაც სპეციალური კანონით საამისოდ საჭიროა შემუასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე გ. ეფენდიევი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმართულებელი  
კომიტეტის.

**129. საწარმოში საბჭოების დეპუტატთა ჯგუფების შუშაობის შესახებ.**

მოისპინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმართულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამბ. ბარკაის მოხსენება სხვადასხვა მძღვანებელ საწარმოში მომქმედ საბჭოების დეპუტატთა ჯგუფების ამიერკავკასიის თათბირის შედეგების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმართულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს ამ თათბირის მოწვევის თავისდროულობას და ის მაღალ აქტივობას, რაც გამოიჩინეს დელეგატებმა — საუკეთესო დამკვრელების წარმომადგენლებმა, საბჭოების წევრებმა და რაც გამოიხატა ამიერკავკასიის დეპუტატთა ჯგუფების საურთიერთო სოციალისტურ თავდებობაში — გააუმჯობესონ თავიანთი შემდგომი მუშაობის ფორმები და მეთოდები სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის საბრძოლველად. ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმართულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს სხვადასხვა მძღვანებელ საწარმოში მომქმედ საბჭოების დეპუტატთა ჯგუფების ამიერკავკასიის 1-ლი თათბირის გადაწყვეტილება — დეპუტატთა ჯგუფების ამოცანებისა, მათი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ — 1-ლი ხუთწლედის მე 4 დამამთავრებული წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულებასთან და მე-2 ხუთწლედისათვის მომზადებასთან დაკავშირებით.

2. წინადადება მიეცეს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას — გამოსცეს, არა უგინენეს ა.წ. მაისის 10-სა, დეპუტატთა ჯგუფების ამიერკავკასიის 1-ლი თათბირის სტენოგრაფიული ანგარიში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმართულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმართულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. აპრილის 27.  
ტფილისი.

რ ე ზ რ ლ უ ც ი ნ

სხვადასხვა მძღვანებელ საწარმოში მოქმედ საბჭოების დეპუტატთა ჯგუფების ამიერკავკასიის 1-ლი თათბირისა — იმ მოხსენების თაობაზე, რაც ეხება სხვადასხვა საწარმოში მოქმედ საბჭოების დეპუტატთა ჯგუფების ამოცანებს 1-ლი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულებასთან და მე-2 ხუთწლედისათვის მომზადებასთან დაკავშირებით.

ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წელი და მეორე ხუთწლედისათვის მომზადება ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და უცელა მშრომელის წინაშე აყენებს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს ინდუსტრიალიზაციის გეგმის შეთვისებისა და განხორციელებისა და მაღალ ტეხნიკური კულტურების განვითარების.

სას, რაც მოითხოვს ამიერკავკასიის საბჭოებისაგან—უფრო მეტად გაძლიერონ თავიანთი აქტიურ-რევოლუციონური როლი სოციალისტური მშენებლობის მორიგი საკითხების ბოლშევიკურად აღსრულების ბრძოლისათვის.

ამ ამოცანების წარმატებით აღსრულების ერთ-ერთი გადამზევეტი პირობაა—შემდგომი გაძლიერება საწარმოში მთელი საბჭოთა მუშაობის ორგანიზატორებისა—დეპუტატისა. ჯგუფებისა, რომელნიც წარმოადგენენ ძირითად ბერკეტის ყველა დეპუტატისა და საბჭოთა აქტივის ფართო ფენების მობილიზაციისათვის წარმოებაში სამეცნიერო-პოლიტიკური კამპანიების წარმატებით ჩასატარებლად.

ვამოცილობამ გვიჩვენა, რომ დეპუტატთა ჯგუფები, როგორც ერთ-ერთი ფორმა სამჭიდვების მუშაობისა საწარმოში, წარმოადგენენ სრულისად ცხოველმყოფელ და მიზანზეწონილ ორგანიზაციას, რომელიც ნამდვილი დასაყრდენია საბჭოებისა მათი მუშაობისათვის ფარბიკებსა და ქარხნებში.

ვადიდლა დეპუტატებისა და მათ მიერ გაერთიანებული საბჭოთა აქტივის ავანგარდული როლი წარმოებაში მათი შედგენილობის რიცხოვობრივი და თვისებრივი განპტკიცების საფუძველზე. არსებითად, დეპუტატთა ჯგუფების მუშაობაში წარმოების მუშაობის გაუმჯობარების და სამრეწველო-საფინანსო გეგმის აღსრულების საკითხებს, ამხ. სტალინის ექვსი პროგრამის საფუძველზე, ეჭირა მძღვანებელი ადგილი და ამ საკითხებს ეთმობოდა დიდი ყურადღება და ღონე.

ამასთან ერთად დეპუტატთა ჯგუფების მუშაობაში არის ნაკლოვანებანი, რაც ძირითად შემდეგში გამოიხატება: ა) მუშაობა აგებულია არასაქმარისი საორგანიზაციო გარკვეულობით და მასსური მუშაობის ცენტრის საამქროსა და ბრიგადული გადატანით; ბ) თავს იჩენს „სხდომებზე ფუსტუსისაღმი“ მიღრეკილება, რაც იმის შედევია, რომ ზოგიერთ საწარმოში არ არსებობს გეგმიანობა დეპუტატთა ჯგუფების მუშაობაში, რომ დამკვრელი-მუშები საქმარისიად მოცულ არ არიან საბჭოთა მუშაობით და რომ არ არსებობს შრომის სოციალისტური მეთოდების (სოცშეჯიბრება, ბუქსირი, დამკვრელობა და სხვა მისთ.) თაოსნობისა და ფართოდ გაშლის უნარი სამრეწველო-საფინანსო გეგმის რაც შეიძლება უკეთესად შესრულებისათვის ამხ. სტალინის ექვსი პირობის საფუძველზე.

ამის გარდა, აქამდე ჯერ კიდევ არის შემთხვევები დეპუტატთა ჯგუფების როლის შეუფასებლობისა როგორც მთელი რიგი ორგანიზაციების მხრით (პროფესიონალური, საზოგადოებრივი და სხვ.), ისე თვით დეპუტატთა ჯგუფების მიერ. ეს შეუფასებლობა გამოიხატება „მემარცხნული“ ხასიათის მავნებელ „ოფორიაში“, რომ საჭიროა დეპუტატთა ჯგუფები საწარმოში გადაძეგულ იქნენ საბჭოებად—ხელისუფლების უზნაები თორგანოს ყველა აღმინისტრატიული უფლებით და ფუნქციით; მეორე შემთხვევაში, პირიქით, დეპუტატთა ჯგუფების არსებობა მიჩნეულია არა საჭიროდ, როგორც ზედმეტი თორგანიზაციისა; ეს უკანასკნელი მოვლენა იმაში გამოიხატა, რომ დეპუტატთა ჯგუფები მოწყობილ იქნენ ადგილობრივ კომიტეტებთან და საფაბრიკო კომიტეტებთან, ან მოწყობილ იქნენ მხოლოდ ფორმალურად; თანაც მათ ზოგიერთი საქალაქო საბჭოების მხრით სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება არ ეწეოდათ სისტემატიური ინსტრუქტაჟისა, გამოცდილების აღნუსხვისა და ვაცვლა-გამოცვლის სახით და სხვა მისთ.

აღნიშნავს-რა ზემოდ დასახელებულ ნაკლოვანებათ როგორც დეპუტატთა აგუფების მუშაობაში, ისე მთელი რიგი ორგანიზაციების ხაზით, დეპუტატთა ჯგუფების ამიერკავკასიის 1-ლი თათბირი საჭიროდ სთვლის მიაქციოს ყველა საბჭოთა მასსური თრაგანიზაციის უმშვერვალესი ყურადღება იმ გარემოებას, რომ აუცილებლად საჭირო მკვეთრი ბრძოლა ყოველგვარ დამახინჯებასთან დეპუტატთა ჯგუფების აგების სფეროში.

ამისდამიხედვით და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კო-მიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილების (დეპუტატთა აგუფების მუშაობის შესახებ) სახელმძღვანელოდ მიღებით—თათბირი აღვენს:

### პ. საორგანიზაციო აგების სფეროში.

1. თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებასა—დეპუტატთა ჯგუფების საორგანიზაციო სტრუქტურის შესახებ და საწარმოში საბჭოთა მასსური მუშაობის შემდგომი განვითარებისა და ამ მუშაობის თვითეულ საამქრომდე და მუშამდე მიწვდენის მიზნით—საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა დიდორონ საწარმოში, საერთო-საქართვო დეპუტატთა ჯგუფის გარდა, მოწყოს აგრეთვე დეპუტატთა ჯგუფის სამქრო უჯრედი საერთო საქართვო ჯგუფის ხელმძღვანელობით.

2. კომბინატებში და საწარმოთა შენაერთებში დეპუტატთა ჯგუფები მოწყოს საწარმოთა ხაზით. გაერთიანებულ საწარმოთა ან კომბინატის დეპუტატთა ჯგუფების მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად მოწყოს დეპუტატთა ჯგუფების ბიურო, რომელიც ირჩევა კომბინატში გაერთიანებულ საწარმოთა დეპუტატების ჯგუფების კონფერენციაზე.

3. რათა სარაიონო საბჭოებმა, ხოლო იქ, საღაც ეს საბჭოები მოწყობილ არ არის, საქალაქო საბჭოებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობის გაწევა დეპუტატთა ჯგუფებისათვის—შემოღებულ იქნეს პრაქტიკად საქალაქო საბჭოების (სარაიონო საბჭოების) სპეციალური ინსტრუქტორების გამოყოფა დეპუტატთა ჯგუფების/მუშაობის ინსტრუქტაჟისა და გამოკვლევისათვის; ეს ინსტრუქტორები მიმღებულ უნდა იქნეს საწარმოთა დეპუტატების ჯგუფებზე სადარღო ნიშნის მიხედვით.

4. ფართოდ უნდა იყოს პრაქტიკაში შემოღებული საბჭოების წევრთაგან საუკეთესო დამკვრელთა, ტეხნიკურად მკონგრეთა, დაწინაურება საქალაქო საბჭოების შტატ-გარეშე ინსტრუქტორებად დანიშნისათვის დეპუტატთა ჯგუფებში.

### პ. მუშაობის წარმართვისა და დეპუტატთა ჯგუფების მორიგი ამოცანების სფეროში.

1. დეპუტატთა ჯგუფებმა საწარმოში უნდა მოახდინონ მობილიზაცია მუშების და სპეციალისტების საწარმოო აქტიობისა, რაც თანდათან იზრდება, თავიანთი საწარმოს სამრეწველოსაფინანსო გეგმის ყველა რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების სრული და თავისდროული აღსრულებისათვის. დეპუტატთა ჯგუფებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმუმი ინიციატივა და სათავეში ჩაუდგნენ

რაციონალიზატორულ მოძრაობას წარმოების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისათვის, სამეურნეო ანგარიშის შემოღებისათვის, ეკონომისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საიმპორტო გაწყვბილობის შემოზღვის შემცირებისათვის—შინაგანი რესსურსების და ჩვენი ქვეყნის წარმოების მასალის მობილიზაციით და წარმოებაში გამოყენებით, და აგრეთვე მომუშავეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება უკეთესად მომსახურეობისათვის.

2. ბაქოს ნავთის მრეწველობის საწარმოთა დეპუტატების ჯგუფები მოვალენი არიან, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის წესით, დახმარება გაუწიონ ბათუმის ნავთსახდელ ქარხნებს და საქართველოს ნავთის ახლად აღორძინებულ საწარმოთ და გადასცენ მათ თავიანთი და თავინით საწარმოთა მუშაობის გამოცდილება საუკეთესო დამკვრელების—დეპუტატთა ჯგუფების წევრთა გაგზავნით, საურთიერთო სოციალისტური თვლებობის ხელშეკრულების დადებით და პროლეტარული ურთიერთი დახმარების სხვა ფორმით.

3. ბაქოს და ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების დეპუტატთა ჯგუფებმა უნდა შექმნან ურთიერთშორის მჭიდრო კავშირი—მასსური საბჭოთა მუშაობის ახალი ფორმების, მეოთხდების და გამოცდილებისა და ნავთის გამოხდისა და გაწმენდის (ბენზინი, ზეთული, კეროსინი და სხვ.) საქმეში მიღწეულ ახალ გაუმჯობესებათა ერთმანეთისათვის გადაცემის მიზნით; უნდა მოაწყონ პერიოდულად სოციალური შეჯიბრების ურთიერთი შემოწმება და ამის შედეგი მიაწვდინონ თავიანთი ქარხნების თვითეულ მუშაობებზე და სპეციალისტაშვებზე.

4. ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა აქვს დეპუტატთა ჯგუფების მუშაობას სარკინისგზო ტრანსპორტზე რკინისგზელ მუშათა ფართო მასების აქტიობის მობილიზაციისათვის—საულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებისა, ამხ. ანდრეევის ბრძანებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. ოქტომბრის 17-ის დადგენილების (ტრანსპორტზე დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ) აღსასრულებლად,—საჭირო გამოცდლებულ და გაძლიერებულ იქნეს მათი მუშაობა და საქალაქო საბჭოებმა და აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაამყარონ იპტრატიული დიფერენცირებული ხელმძღვანელობის გაწევა მათვის და მიამაგრონ ამ ჯგუფებზე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების წევრები.

5. აღსანიშნავია-რა საბჭოების სუსტი მუშაობა ახალ მშენებლობებზე, საჭირო პირველ ყოვლისა დამტრონ ახალ მშენებლობებზე მოეწყოს დეპუტატთა ჯგუფები და დამყარდეს სისტემატიური მუშაობა მათთან.

დეპუტატთა ჯგუფებმა ახალ მშენებლობებზე, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებასთან ერთად, უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობას, მათ ინტერნაციონალურ განვითარებას და საწარმოთა მშენებლობის გამაითებელ ლონისძიებათ—ამხ. სტალინის ექვსი პირობის საფუძველზე.

იმ წარმოების დეპუტატთა ჯგუფებმა, რომლისაგანაც დამოკიდებულია საწარმოთა ვადაზე აშენება, უნდა მოაწყონ მეთვალყურე პოსტები დამკვრელ

ახალშენებლობათა შეკვეთების თავის დროზე აღსრულებისა და მიღებისათვის კონტროლის გასაწევად.

6. საქალაქო მეურნეობის გაშლის საქმეში დეპუტატთა ჯგუფების მნიშვნელობის გაძლიერებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დეპუტატთა ჯგუფების მუშაობაში საბინაო მშენებლობას, საბინაო კომპერაციას, ტრანსპორტს—ტრამვაის, ავტოს—და განსაკუთრებით სანიტარულ ღონისძიებათ და მუშათა დაბებისა და განაპირია აღილების კეთილმოწყობას. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული დეპუტატთა ჯგუფების (ბაქო, ბათუმი) გამოცდილება ცალკეულ საწარმოთა და საქალაქო მეურნეობის ცალკეულ ნაწილთა მუშაობაზე და ახლად ასაშენებელ სახლებზე შეფობის მოწყობისათვის; აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნეს ეს გამოცდილება სოციალისტურ ვალდებულებათა ორგანიზაციისათვის სამრეწველო-საფინანსო გეგმის ზედმეტად საჭირო გაწყობილობის დამზადებისა, რემონტის წარმოებისა, საქალაქო მეურნეობის ცალკეულ ნაგებობათა აგებისა და სხვა მისთ. საქმეში.

7. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დეპუტატთა ჯგუფებმა საგარეთუბნო მეურნეობის (ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის) მოწყობას, საშეფო საწარმოთა და საკოლმეურნეო სოფელთაოვის პრაქტიკული დახმარების გაწევას თესვის და მოსავლის აღების დროს, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების ვაპრობის გაშლას—საციალური ბრიგადების მოწყობით ბოსტან-საწარმოთა დასამუშავებლად და ხელშეკრულობების დადებით ზედმეტი სასაქონლო პროდუქციის გაყიდვა-მიწოდების შესახებ.

8. პირალებით აღკვეთილ უნდა იქნეს უგეგმობა და თვითმდინარეობა, რამაც თავი იჩინა დეპუტატთა ზოგიერთ ჯგუფში და ისინი უნდა გადავიდენ მტკიცე საგეგმო მუშაობაზე—აღსრულებისათვის სასტიკი კონტროლის დაწესებით.

დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის გეგმა დაკავშირებულ უნდა იქნეს საწარმოთა პარტიული, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების მუშაობის გეგმასთან.

### 8. კადრების მომზადების სფეროში.

1. დეპუტატთა ჯგუფების ბიუროების თავმჯდომარებისა, მდივნებისა, წევრებისა და საამქრო ორგანიზატორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად—საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მოწყობის სოცემშენებლობის საღამოს კურსები მტკიცე-საწარმოო პრინციპის კვალობაზე (ტრანსპორტი, ნავთი და სხვა მისთ).

1932 წელს გახსნილ იქნეს საბჭოთა მშენებლობის და სამართლის საღამოს უნივერსიტეტები ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერიგანში პასუხისმგებელ მომუშავეთა მოსამზადებლად და გარდასამზადებლად საბჭოთა მშენებლობის ხაზით.

2. დეპუტატთა ჯგუფების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ჩაითვალოს: საბჭოთა აქტივის კადრების გამორკვევა და აღნუსხვა, მუშა-აღმასრულებლების დაწინაურება ყველა დაწესებულებაში, რომელიც უწყებული საწარმოს საშეფო, საშეფო კომისიებისათვის დახმარების მოწყობა და მათი მოქმედებისათვის კონტროლის გაწევა საანგარიშო მოხსენების მოსმენით.

3. დეპუტატთა ჯგუფებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ სოც-შემთავსებელთა მუშაობას—მათი მომზადების ორგანიზაციით და მუდმივი კავ-შირის დამყარებით, რისთვისაც მოსმენილ უნდა იქნეს ხოლმე საანგარიშო მოხ-სენებები მათი მოქმედების თაობაზე, და დახმარების გაწევით მით, რომ თავი-დან ააცილონ არანორმალობანი მათ მუშაობაში.

#### დ. მეორე ხუთწლედისათვის მომზადების ხუეროში.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის აღსრულებისა და გადამეტებით აღსრულებისათვის მთელი თავისი ყურადღების მობილიზაციასთან ერთად დეპუტატთა ჯგუფებმა, საწარმოს სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებულად, უნდა უზრუნველვყონ მეორე ხუთწლედის გაშლილი გეგმის შესადგენად საჭირო სამუშაოების მოწყობა—ისე, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა ფართო მასებმა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ იქნეს ცნობილი ა/ქსფსრ-ში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის ესტაფეტის ჩატარება შემდეგ ამოცანათა შესრულების ხა-ზით: ა) ბაქოში ღენრაიონის მე-3 და მე-5 დამკვრელ სარეწაოთა გაწვევის რეა-ლიზაციით დამთავრებულ იქნეს ა/ქსფსრ ათი წლის თავის სახელმის ერთიანი დამკვრელი ბრიგადის ორგანიზაცია ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმის ვა-დამდე შესრულებისათვის; ბ) ჩატარებულ იქნეს დაგეგმვის სესხი, რაც შეადგენს მასების მობილიზაციის საშუალებას მეორე ხუთწლედის შედგენისათვის და სა-წარმოთა საამისოდ მზადყოფნისათვის; გ) დაარსებულ იქნეს ეკონომიკური დამო-უკიდებლობის ფონდი.

მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორ-განიზაციო განყოფილებას—დაიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე დეპუტატთა ჯგუ-ფების მუშაობის ესტაფეტის ჩატარების ფორმები და მეთოდები.

#### დადგენილება ამისრაპკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის.

#### 130. ა/ქსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 68 და 87 მუხლებისათვის შენიშ-ვნის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/ქსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 68 და 87 მუხლებს დაემატოს შენიშ-ვნა შემდეგი შინაარსისა.

**შენიშვნა.** მოცდენის და ბრაკის სასყიდელი წარმოებაში და ტრან-სპორტზე რეგულირდება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომი-ტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 30-ის დად-გენილებით „წარმოებაში და ტრანსპორტზე მოცდენისა და ბრაკის სას-ყიდლის მოწესრიგების ორნისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-2 №-ი, მუხ. 11) და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილებით—

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშვნული, 1931 წ. დეკემბრის 30-ის, დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 23 №-ი, მუხ. 144).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. აპრილის 27.  
ტფილის.

### დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისას.

**131.** კალა-მაშტაგინის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თაობაზე გამოთანილი სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. ოქტომბრის 28-ის დადგენილებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილების რეალიზაციის მხედლელობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აღნიშნოს, რომ აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის დროზე არ შეასრულა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. ოქტომბრის 23 დადგენილება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილება—კალა-მაშტაგინის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ.

2. რადგანაც კალა-მაშტაგინის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი სპეციფიურ პირობებშია, მიღებულ იქნეს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ბაქოს საბჭოს გადაწყვეტილება კალა-მაშტაგინის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ლიკვიდაციისა და ამ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის 13 სასოფლო საბჭოს ქ. ბაქოს კიროვის სარაიონო საბჭოსათვის გადაცემის შესახებ—კალა-მაშტაგინის აღმასრულებელი კომიტეტის საგარეთუბნო სარაიონო საბჭოდ გადაკეთებით.

3. თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. იანვრის 27-ის დადგენილების (ოქმი № 27)—1932 წლის შემოდგომამდე რაიონების საზღვრების შეცვლის შეჩერების შესახებ—ამა დადგენილების მე-2 მუხ. წარედგინოს დასამტკიცებლად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. მაისის 27.  
ტფილის.

**დადგენილება ამინისტრაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის**

**132. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულების მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულების მე-11 მუხლის პირველი აბზაცი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-16 №-ი, მუხ. 191) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. მე-11. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ორი მისი მო-ადგილე, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარენი, კავკა-სიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე და ცხრა წევრი, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, აგრეთვე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბ-ლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარენი“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კრმიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. მაისის 27.

ტფილი.